პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

სიდა
ჩვენ • ვაკავშირებთ

G-PAM
ინდივიდუალური დახმარება
ქართველ მიგრანტებს

www.migrant.ge | fb.com/migrant.ge | ოქტომბერი 2014 წ.

ბიულეტენი#4

საბერძნეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_gr | თურქეთის სკაიპის ცხელი ხაზი migrant_tr | საქართველოს სკაიპის ცხელი ხაზი migrant_ge

მისალმება

პატივცემულო მკითხველო, მოგესალმებით G-PAM პროექტის გუნდის სახელით. არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“, 2013 წლის მაისიდან, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს“ (G-PAM). წინამდებარე ბიულეტენის თემაა კამპანია „ქალი და მიგრაცია“, რომელიც პროექტის ფარგლებში დაიწყო 2014 წლის ივლისის თვიდან და გრძელდება დღემდე. აღნიშნული კამპანიის მიზანია კარგად მართული ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა და მოსახლეობაში ცნობადობის ამაღლება არალეგალური მიგრაციის საფრთხეებთან დაკავშირებით. კამპანიის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები საქართველოს ხუთ რეგიონში, რაზეც დეტალურად იქნება საუბარი წინამდებარე ბიულეტენში.

კამპანია „ქალი და მიგრაციის“ ფარგლებში მოეწყო „პირველი ნაბიჯის“ ტრენინგები, ანუ რა უნდა იცოდეს საბერძნეთში/ თურქეთში გამგზავრების მსურველმა, პროექტის პარტნიორი რეგიონული ორგანიზაციებისა და სოფლის კონსულტანტებისთვის.

აჭარა/სამეგრელო

2014 წლის 12-13 ივლისს, ქალაქ ზუგდიდში გაიმართა პირველი ნაბიჯის ტრენინგები აჭარისა და სამეგრელოს პროექტის პარტნიორი რეგიონული ორგანიზაციებისა და სოფლის კონსულტანტებისთვის, აღნიშნული ტრენინგი წარმოადგენდა ასევე პროექტის ფარგლებში დაწყებული კამპანია "ქალი და მიგრაციის” ნაწილს. პროექტის აქტივობას ესწრებოდნენ რეგიონული კოორდინატორები და კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენლები. ტრენინგი ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“-ს დაკვეთით "მიგრაციის ცენტრის" ტრენერების, გიორგი გოგიშვილისა და ქეთი აბულაშვილის მიერ.

ტრენინგის დროს მონაწილეებმა უფრო მეტად გაიაზრეს განსხვავება არალეგალურ და ლეგალურ მიგრაციას შორის. ტრენერებმა მათ მიაწოდეს ინფორმაცია თუ რა საფრთხეებს უნდა ელოდოს ადამიანი არალეგალური მიგრაციის შემთხვევაში.

კამპანიის ფარგლებში მომზადდა და დაიბეჭდა მიგრაციასთან დაკავშირებული მასალა, რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს უკეთ გაიცნოს საბერძნეთისა და თურქეთის როგორც კულტურული ცხოვრება ისე ის საფრთხეები, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მათ არალეგალურ მიგრაციასთან, ბროშურებში ასევე წარმოდგენილია სასარგებლო რჩევები პოტენციური მიგრანტებისთვის. მსგავსი სახის ინფორმაციის ბენეფიციარებთან უკეთ მიტანის მიზნით პროექტის ფარგლებში გადაღებულ იქნა დოკუმენტური ფილმი თურქეთსა და საბერძნეთზე.

იმერეთი

2014 წლის 28-29 ივლისს, ქუთაისში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ოფისში იმერეთის რეგიონის სოფლის კონსულტანტებისთვის პირველი ნაბიჯის ტრენინგები გაიმართა. პროექტის აქტივობას ესწრებოდნენ იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონული კოორდინატორები და კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წარმომადგენლები.

კამპანია "ქალი და მიგრაცია" დაიგეგმა პროექტის ფარგლებში და მიზნად ისახავს ქალთა როლის წარმოჩენას მიგრაციულ პროცესებში, არალეგალური მიგრაციის პრობლემატიკის გარშემო დისკუსიებსა და ლეგალური მიგრაციის მხარდაჭერას.

შიდა ქართლი

5-6 აგვისტოს, გორში, "გორის საინფორმაციო ცენტრის" ოფისში ჩატარდა "პირველი ნაბიჯის" ტრენინგები, რომელსაც ესწრებოდნენ პროექტის შიდა ქართლის კონსულტანტები.

ორი დღის განმავლობაში ტრენინგის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ლეგალურ და არალეგალურ მიგრაციაზე და იმ პრობლემებზე, რომელიც თან ახლავს საზღვარგარეთ წასვლას. მათ დაურიგდათ კამპანიის ფარგლებში მომზადებული სახელმძღვანელოები თურქეთსა და საბერძნეთზე, რომელიც მკითხველს საკმაო დიდ ინფორმაციას აწვდის ამ ქვეყნების კულტურულ, პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაზე. ტრენინგის მონაწილეებს ასევე გადაეცათ პროექტის ფარგლებში შემუშავებული სხვა საინფორმაციო ბროშურა, ჯიბის სამახსოვრო და ა.შ.

ქვემო ქართლი

2014 წლის 7-8 აგვისტოს, რუსთავში, არასამთავრობო ორგანიზაცია "სიდა"-ს ოფისში პროექტის ქვემო ქართლის კონსულტანტებისთვის "პირველი ნაბიჯის" ტრენინგები ჩატარდა.

შეხვედრას დაესწრნენ ქ.-ნი ქეთევან ხუციშვილი - ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, პროექტების მენეჯერი და IOM საქართველოს წარმომადგენელი ქ.-ნი ნათელა მუავანაძე. მსგავსად სხვა ქალაქებში ჩატარებული ტრენინგისა, ქვემო ქართლის კონსულტანტებმა მიიღეს ახალი ცოდნა და ინფორმაცია ლეგალურ და არალეგლურ მიგრაცია/საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით, მიგრაციისთვის დამახასიათებელი პრობლემებისა და მათი თავიდან აცილების გზების შესახებ. ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ პროექტის ფარგლებში დამზადებული მასალები, როგორც ბეჭდურ ასევე ელექტრონულ ფორმატში.

რუსთავში ჩატარებული ტრენინგები წარმოადგენდა კამპანია "ქალი და მიგრაცია" ფარგლებში მიმდინარე "პირველი ნაბიჯის" ტრენინგების დასკვნით ეტაპს. ტრენინგების შემდეგ სოფლის კონსულტანტები უკვე თავიანთ სოფლებში განახორციელებენ დოკუმენტური ფილმების ჩვენებასა და სოფლის ბენეფიციართა ტრენინგს.

კამპანიის ფარგლებში „პირველი ნაბიჯის“ ტრენინგები ჩატარდა სოფლის მოსახლეობისათვის პროექტის ბენეფიციარ შემდეგ სოფლებში:

ქვემო ქართლი (ნორიო, კუმისი, მარტყოფი, კრწანისი, გამარჯვება, ასურეთი, წინწყარო, რატევანი, კასუმლო)

შიდა ქართლი (ატენი, კარალეთი, შინდისი, ტინისხიდი, ხელთუბანი, მეჯვრისხევი, ვარიანი, ქვახვრელი, დოესი, დირბი, ქვენატკოცა, დაბა აგარა)

იმერეთი (ქვედა საზანო, ჩიხა, დიდი ჯიხაიში, საჯავახო, ქვიტირი, ოფშკვითი, კუხი, ძევრი, კვახჯირი, ალისუბანი, ხრეითი, ქვაციხე)

სამეგრელო (ნაგვაზაო, დიდი ჭყონი, ჯიხაშკარი, ჩხორია, ანაკლია, ორსანტია, ხაბუმე, ჭალე, ჯგალი, თეკლათი, ნოსირი, პირველი მაისი, საჯიჯაო)

აჭარა (ცხმორისი, ნიგაზეული, ჩაისუბანი)

სამეგრელო

2014 წლის 31 ივლისს სოფელ თეკლათში ჩატარდა პირველი ნაბიჯის ტრენინგი. პროექტის სოფლის კონსულტანტმა შორენა გადელიამ ბენეფიციარებს გააცნო კამპანია "ქალი და მიგრაციის" ფარგლებში გადაღებული დოკუმენტური ფილმები თურქეთსა და საბერძნეთზე, რომელიც მაყურებელს მაქსიმალურად გადმოსცემს ამ ორი ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ხასიათსა და თავისებურებებს.

ტრენინგის მონაწილეებს დაურიგდათ პროექტის ბროშურები: ჯიბის სამახსოვრო და თურქეთსა და საბერძნეთზე შექმნილი პირველი ნაბიჯის სახელმძღვანელოები. მონაწილეებს შორის გაიმართა დისკუსია, მოხდა აზრებისა და გამოცდილების გაზიარება.

2014 წლის 2 აგვისტოს ტრენინგი ჩატარდა სოფელ ორსანტიაში სადაც სოფლის მცხოვრებლებმა კამპანიის ფარგლებში გადაღებული დოკუმენტური ფილმი იხილეს. გაიმართა დისკუსია.

2014 წლის 5 აგვისტოს ანაკლიაში ჩატარდა ტრენინგი, სადაც ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია დოკუმენტური ფილმის ჩვენებამ, კამპანიის ფარგლებში დაბეჭდილი საინფორმაციო წიგნების გავრცელებამ და მიგრაციის თემაზე დისკუსიამ.

2014 წლის 6 აგვისტოს ჯიხაშკარში შედგა "პირველი ნაბიჯის ტრენინგი“. მსგავსად სხვა სოფლებისა, აღნიშნულ სოფელშიც კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩატარდა შეხვედრა და მოქალაქეებმა საჭირო ინფორმაცია მიიღეს.

აჭარა

2014 წლის 28 ივლისს სოფელ ცხმორისში ჩატარდა პირველი ნაბიჯის ტრენინგი. პროექტის სოფლის კონსულტანტმა პოტენციურ ბენეფიციარებს გააცნო კამპანია "ქალი და მიგრაციის" ფარგლებში გადაღებული დოკუმენტური ფილმები თურქეთსა და საბერძნეთზე. ტრენინგის მონაწილეებს დაურიგდათ პროექტის ფარგლებში შექმნილი ბროშურები და ვიდეო მასალა.

ქვემო ქართლი

2014 წლის 12 აგვისტოს სოფელ კუმისში კამპანია "ქალი და მიგრაციის" ფარგლებში ჩატარდა პირველი ნაბიჯის ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდა 11 ბენეფიციარი. დამსწრეთათვის კამპანიის შესახებ ზოგადი ინფორმაციისა და მიზნების გაცნობის შემდეგ გაშუქებულ იქნა საინფორმაციო ფილმები საქართველოს მოქალაქეთა ემიგრაციის ძირითადი ქვეყნების (საბერძნეთი, თურქეთი) შესახებ. ტრენინგის დამსწრეებს ასევე გადაეცათ საინფორმაციო ბროშურები ამ ქვეყნებისა და ზოგადად კამპანიის მიზნების შესახებ. ტრენინგის მეორე ნაწილში ბენეფიციარებმა მიიღეს ის დამატებითი ინფორმაცია და პრაქტიკული რჩევები, რაც ფილმში არ იყო მოხსენიებული. ტრენინგის ბოლოს დაისვა კითხვები მიგრაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კონკრეტული საკითხის შესახებ და შედგა დისკუსია.

14 აგვისტოს მარნეულის რაიონ სოფ. სადახლოში ჩატარდა პირველი ნაბიჯის ტრენინგი რომელსაც ესწრებოდა 12 ბენეფეციარი. ტრენინგზე განხილულ იქნა ტრეფიკინგის პრობლემა, ტრენინგს ესწრებოდა როგორც ლეგალი ისე არალეგალი მიგრანტები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ჩართულიყვნენ მიგრანტთა დაცვის პროგრამაში. დისკუსია შეეხებოდა სომხეთში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში არსებულ მიგრაციასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას. მონაწილეებს დაურიგდათ საცნობარო მასალა და „პირველი ნაბიჯის“ სახელმძღვანელოს ვიდეო ვერსიები.

იმერეთი

2014 წლის 5 სექტემბერს შიდა ქართლში, დაბა აგარაში ჩატარდა "პირველი ნაბიჯის" ტრენინგი. ბენეფიციარებმა იხილეს კამპანია "ქალი და მიგრაციის" ფარგლებში მომზადებული ვიდეო მასალა, რომელიც ეხება თურქეთსა და საბერძნეთს, კონკრეტულად კი გადმოგვცემს ინფორმაციას ამ ორი ქვეყნის წარსულის, საზოგადოებაში ქცევის წესებისა და კანონმდებლობის შესახებ. ბენეფიციარებს დაურიგდათ ბეჭდური მასალები "ჯიბის სამახსოვრო" და თურქეთ/საბერძნეთზე მომზადებული პირველი ნაბიჯის სახელმძღვანელოები. ტრენინგის დროს შედგა დისკუსია მიგრაციასთან დაკავშირებულ დღეს არსებულ პრობლემატურ საკითხებზე.

2014 წლის 9 სექტემბერს, კამპანია "ქალი და მიგრაციის" ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძაში და სოფელ კუხში მოეწყო პირველი ნაბიჯის ტრენინგი. შეხვედრას ესწრებოდნენ მიგრაციით დაინტერესებული პირები. მონაწილეებმა იხილეს ფილმი, რომელიც საბერძნეთისა და თურქეთის ისტორიას, ტრადიციებს და ამ ქვეყნებში მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია მიგრაციის დადებით და უარყოფით შედეგებზე.

შიდა ქართლი

2014 წლის 10 სექტემბერს, პროექტის „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს“ ფარგლებში ქარელის მუნიციპალიტეტ სოფელ დირბში მოეწყო საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ მიგრაციით დაინტერესებული პირები. მონაწილეებმა იხილეს ფილმი, რომელიც საბერძნეთისა და თურქეთის ისტორიას, ტრადიციებს და ამ ქვეყნებში მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, მიგრაციის დადებით და უარყოფით შედეგებზე.

ზემოაღნიშნული ტრენინგი გაიმართა სოფელ ტინისხიდშიც 2014 წლის 2 ოქტომბერს. მონაწილეებმა იხილეს დოკუმენტური ფილმი/სახელმძღვანელო და მიიღეს საჭირო ინფორმაცია ლეგალურ/არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებით.

პროექტის ბენეფიციარ საქართველოს ხუთ რეგიონში (ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, აჭარა) გაიმართა დოკუმენტური ფილმის ჩვენება/დისკუსია „რა უნდა იცოდეს საბერძნეთში/თურქეთში გამგზავრების მსურველმა“.

აჭარა

2014 წლის 13 აგვისტოს, ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტის“ ინიციატივითა და ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის მხარდაჭერით, პროექტის „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს“ (G-PAM), რომელიც ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“–ს მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ფარგლებში დაგეგმილი კამპანიის „ქალი და მიგრაციის“ ეგიდით გაიმართა დისკუსია თემაზე: „თურქეთში და საბრძნეთში არლეგალური მიგრაციის პრობლემები“.ასევე მოეწყო ფილმის ჩვენება ,,რა უნდა იცოდეს თურქეთში გამგზავრების მსურველმა“. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, პოტენციურმა მიგრანტებმა და ახალგაზრდებმა.

იმერეთი

2014 წლის 17 სექტემბერს, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში "ქუთაისის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის" ინიციატივით კამპანია "ქალი და მიგრაციის" ფარგლებში გაიმართა ფილმის ჩვენება ,,პირველი ნაბიჯის" სახელმძღვანელო ანუ რა უნდა იცოდეს საბერძნეთსა და თურქეთში გამგზავრების მსურველებმა". ფილმში წარმოდგენილი იყო ყველა ის ძირითადი საკითხი და პრობლემა, რომელიც თურქეთში მიგრანტებს შეიძლება შეექმნათ, ასევე კონკრეტული ისტორიები, რომელიც ლეგალურ და არალეგალურ მიგრაციას უკავშირდება. ფილმის ჩვენების შემდეგ მიგრაციის საკითხებზე გაიმართა დისკუსია. დამსწრეთა შეკითხვებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი ნუგზარ კოხრეიძე პასუხობდა. შეხვედრას ესწრებოდნენ პროექტის ბენეფიციარები და პოტენციური მიგრანტებიც. შეხვედრა გაშუქდა ადგილობრივი და ცენტრალური მედიის საშუალებით.

სამეგრელო

2014 წლის 18 სექტემბერს ზუგდიდში, კამპანია "ქალი და მიგრაციის" ფარგლებში მოეწყო საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ მიგრაციის თემით დაინტერესებული პირები, ადამიანები, რომელთა ნათესავები და ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ ემიგრაციაში, როგორც თურქეთში,ასევე - საბერძნეთში.

შეხვედრის მონაწილეებმა იხილეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც საბერძნეთისა და თურქეთის ისტორიას, ტრადიციებს და ამ ქვეყნებში მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა. შეხვედრაზე გამოითქვა საერთო აზრი, რომ არალეგალურად ქვეყნის დატოვებას მართლაც, რომ ბევრი სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვესდა დროა ადამიანებმა გაითავისონ ლეგალურად სამუშაოდ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლის აუცილებლობა.

ქვემო ქართლი

2014 წლის 25 სექტემბერს, რუსთავის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“ ორგანიზებით გაიმართა დოკუმენტური ფილმის ჩვენება ,,რა უნდა იცოდეს საბერძნეთში და თურქეთში გამგზავრების მსურველმა.“

ფილმი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს თურქეთში ან საბერძნეთში წასვლის მსურველმა საქართველოს მოქალაქემ. მასში ასახულია ის პრაქტიკული რჩევები, რომელიც საქართველოდან ჩასულ მიგრანტს გაუადვილებს ახალ ქვეყანაში და ახალ გარემოში ადაპტაციას. ფილმი მოგვითხრობს იმაზე, თუ რა საფრთხეები არსებობს უცხო ქვეყნებში, რას უნდა მოერიდონ იქ ჩასული მიგრანტები, როგორია სიტუაცია დასაქმების მხრივ და რა უნდა გააკეთონ ქალბატონებმა ტრეფიკინგის საფრთხისგან თავის ასარიდებლად.

შიდა ქართლი

2014 წლის 10 ოქტომბერს ქალაქ გორში გაიმართა "პირველი ნაბიჯის სახელმძღვანელო" ფილმის ჩვენება. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია. მონაწილეებმა აღნიშნეს დოკუმენტური ფილმის შინაარსის მნიშვნელობა იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც აპირებენ საზღვარგარეთ წასვლას. მათთვის ბევრი ინფორმაცია სრულიად ახალი და სასარგებლო აღმოჩნდა. დაისვა რამდენიმე კითხვა რომელსაც G-PAM პროექტისა და "მიგრაციის ცენტრის" წარმომადგენლებმა უპასუხეს.

კონფერენცია „ქალი და მიგრაცია“ 2014 წლის 31 ივლისს, არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას“–ს ორგანიზებით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერია“–ში, გაიმართა კონფერენცია „ქალი და მიგრაცია“. კონფერენცია წარმოადგენდა პროექტის „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს“ (G-PAM) ფარგლებში დაგეგმილი კამპანიის „ქალი და მიგრაცია“ მორიგ ღონისძიებას, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად. კონფერენციის მიზანი გახლდათ მიგრაციის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მიგრანტების პირისპირ დიალოგის წახალისება ლეგალური და არალეგალური მიგრაციის საკითხებთან დაკავშირეებით. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადება დაეთმო ქალთა როლის წარმოჩენას მიგრაციაში.

კამპანია ქალი და მიგრაცია



მედია-კამპანია

კამპანია „ქალი და მიგრაციის“ ფარგლებში არალეგალური მიგრაციის საფრთხესთან დაკავშირებული ვიდეო-რგოლი გაშუქდა რუსთავი 2-სა და პირველი არხის ეთერში. ასევე, სხვადასხვა მედია-საშუალებებში დაიბეჭდება კამპანიასთან დაკავშირებული სტატიები.

TUESDAY, SEPTEMBER 30, 2014 — The Messenger

Film about migration shown in Rustavi

On September 25 CiDA organized a film show named "what should a woman know if she wants to go to Greece and Turkey" at Rustavi Civic Engagement Center. The film includes all the necessary information which will be helpful for women migrants willing to go in above mentioned countries. Film gives some recommendation and suggestions which will make easier for a new migrant to adapt a new country, it also warns potential migrants about the threats they may face in a new country and gives information about employment situation.

After show invited guests and project representatives discussed migration issues, shared their opinions and got certain advice regarding the topic.

EU funded project "Georgia - Personalized Assistance for Migrants" (GPAM) is implemented by Civil Development Agency – CiDA and aims at supporting Georgia to better manage migration processes.

„პირველი ნაბიჯი"- ფილმი- სახლმძღვანელო ლეგალ და არალეგალ მიგრანტებს

პირველი ნაბიჯი ამ სახელწოდების გახლდათ საინფორმაციო ფილმი, რომელიც ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა. ფილმის ჩვენება პროექტის ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს ფარგლებში გაიმართა და იგი ერთგვარ რჩევებს ისახავდა მიზნად საბერძნეთსა და თურქეთში გამგზავრების მოსურნეთათვის.

„პროექტის მიზანია ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა და ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს როგორც სამართლებრივი, ასევე ინფორმაციული და სხვადასხვა საკითხების კუთხით. ფილმში მოცემულია ის რეალობები რაც ხვდებათ მიგრანტებს, რა პრობლემების წინაშე შეიძლება დადგნენ ისინი. როგორ უნდა მოიქცნენ, რომ კანონთან თანხვედრაში იყვნენ", - აღნიშნა განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის პროგრამების დირექტორი ნათია ნამჩავიშვილმა.

ფილმში წარმოდგენილი იყო ბევრი მაგალითი და პრაქტიკული რჩევა რაც შეიძლება გამოადგეთ ლეგალურ მიგრანტებს ან რა საფრთხეების წინაშე შეიძლება დადგნენ არალეგალები.

„ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს" ორგანიზებულია სამოქალაქო განვითარების საგრანტო „ლიდა" მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი ხორციელდება საქართველოს 5 რეგიონში: შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, აჭარა. იმერეთში პროექტის პარტნიორია ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი.

კამპანია „ქალი და მიგრაციის“ ფარგლებში გავრცელებული ბეჭდური და ელექტრონული მასალები

პრაქტიკული რჩევები მიგრანტებს „ჯიბის სამახსოვრო“

„პირველი ნაბიჯის“ სახელმძღვანელო, ანუ რა უნდა იცოდეს თურქეთში გამგზავრების მსურველმა

„პირველი ნაბიჯის“ სახელმძღვანელო, ანუ რა უნდა იცოდეს საბერძნეთში გამგზავრების მსურველმა



„პირველი ნაბიჯის“ სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია

კონსულტაციები მიგრანტებისთვის დიასპორებში

საბერძნეთი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო / "მე დავბრუნდები"
ვილარას ქ. 5, ათენი (Βηλαρά 3, Αθήνα - Ομόνοια)
+30 699 263 1111, migrant_gr@hotmail.com
www.facebook.com/migrant.ge, სკაიპ-სახელი: migrant_gr

თურქეთი
სამოქალაქო განვითარების სააგენტო / "მე დავბრუნდები"
მე–4 სართ., თოფჩექენლერის ქ. 16, ჰუსეინაღას უბანი
(Huseyinağa mah. Topçekenler sok. No16. Kat.4. Beyoğlu/İstanbul)
ბეიოღლუ/სტამბოლი, +90 531 317 8901, migrant_tr@hotmail.com
www.facebook.com/migrant.ge, სკაიპ-სახელი: migrant_tr

კონსულტაციები შესაძლო მიგრანტებისთვის რეგიონულ ცენტრებში
სამეგრელო
თინათინ დიდიშვილი, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
ასოციაცია ათინათი, რუსთაველის ქ. 94, ზუგდიდი, 2100
+995 599 515129, ti-ka35@rambler.ru

იმერეთი
ნათია ნამიჩეიშვილი, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
ქუთაისის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი
ი. გრიშაშვილის მე-4 შესახ. #3, ქუთაისი, 4600
+995 598 797 479, natiaacett@gmail.com

აჭარა
არჩილ ხახუტაიშვილი, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
დემოკრატიის ინსტიტუტი, ფარნავაზ მეფის ქ. 144, ბათუმი
+995 577 210 410, A.khakhutaishvili@iod.ge

შიდა ქართლი
მიხეილ ჩიტაძე,პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
გორის საინფორმაციო ცენტრი, ჩიტაძის ქ. 3, გორი, 1400
+995 599 113 455, gic@gic.org.ge, mishachitadze@gmail.com

ქვემო ქართლი
შორენა ხუხუა, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი
კეთილი ნების მისია – მისიონერები, სულხან–საბას ქ. 143, ბოლნისი
+995 577 973 24, shorenakhukhua@gmail.com

კონსულტაციები შესაძლო მიგრანტებისთვის სოფლებში

ქვემო ქართლი

- კასუმლო (599 000 355)
- ნორიო (599 897 283)
- კუმისი (593 197 140)
- მარტყოფი (555 502 103)
- გამარჯვება (598 215 194)
- წინწყარო (598 206 017)
- ასურეთი (599 897 207)
- რატევანი (595 048 701)

სამეგრელო

- ნაგვაზაო (598 736 915)
- დიდი ჭყონი (599 915 962)
- ბანძა (598 917 343)
- ჯიხაშკარი (551 094 803)
- ჩხორია (577 732 073)
- ანაკლია (599 897 544)
- ორსანტია (557 903 747)
- ხაბუმე (591 810 369)
- ჭალე (599 897 238)
- ჯგალი (599 897 563)
- ჯვარი (597 983 348)
- თეკლათი (595 048 535)
- პირველი მაისი (577 644 021)
- საჯიჯაო (557 202 185)
- ნოსირი (551 532 222)

შიდა ქართლი

- ატენი (599 897 482)
- კარალეთი (598 338 869)
- შინდისი (599 897 316)
- ტინისხიდი (599 777 042)
- ვარიანი (599 897 605)
- ქვახვრელი (599 897 345)
- დოესი (599 897 337)
- დირბი (595 512 627)
- ქვენატკოცა (599 897 158)
- დაბა აგარა (599 370 676)

იმერეთი

- ქვედა საზანო (598 691 005)
- როდინაული (595 048 561)
- გორა (598 664 897)
- ჩიხა (598 426 333)
- დიდი ჯიხაიში (598 926 620)
- საჯავახო (557 183 917)
- ხრეითი (598 395 278)
- ქვაციხე (551 334 487)
- ქვიტირი (558 380 755)
- ოფშკვითი (595 048 624)
- კუხი (599 897 210)
- ძევრი (595 554 148)
- ალისუბანი (577 653 465)

აჭარა

- ჩაისუბანი (599 132 926)
- მუხაესტატე (514 596 688)
- ცხმორისი (591 718 941)
- ხიჭაური (591 714 395)